



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 29

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის, პირველი ნაწილის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52- ე მუხლის შესაბამისად

1. არჩეულ იქნეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით ფარული კენჭისყრის საფუძველზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ - საკრებულოს წევრი **ბადრი კალანდარიშვილი**.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს: საჯარო სამსახურის ბიუროს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერი რუსია